1 დეკემბერი

რიგ. ქ. XXXIV კვირა [II] მღ

2012 შაბათი

გამოცხ.22,1-7; ფს 94; ლკ 21,34-36

# გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გულები ლკ 21,34

გმადლობ იესო: შენ მოგვიწოდებ სიფხიზლისა და ლოცვისაკენ, რადგან ჩვენ ცდუნებით მოცულნი ვართ, რომელიც ანადგურებს ჩვენს ცხოვრებას. ამგვარად გემსახურებით და დაგელოდებით ყოველჟამს.

# 2 ႣႤႩႤႫႡႤႰႨ

ადვენტის I კვირადღე, «გ» [I] ი

2012 ႩႥႨႰႠ

იერ33,14-16; ფს24; Iთეს3,12-4,2; ლკ21,25-28.34-36

## ყოველჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ ლკ 21,36

**ლოცვა სიფხიზლის უდიდესი დახმარებაა: ხშირად ლოცვაა რომ მეხმარება, გავიხსენო სხვადასხვა მოვალეობები და მსახურებანი და სიყვარულით შევასრულო ისინი.**

# 3 დეკემბერი

ადვ. ჟ. I კვირა [I] თ

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც. †1552 (მ)

2012 ორშაბათი

ეს 2,1-5; ფს 121; მთ 8,5-11

## მოვალ და განვკურნავ მას მთ 8,7

**რაოდენ კარგად და მაშინვე გვეხმარები, იესო! შენ ხარ იმედი, რომელიც არ უცრუებს იმედებს იმას ვინც თავმდაბლობით მოდის შენთან დახმარების სათხოვნელად.**

# 4 დეკემბერი

ადვ. ქ. I კვირა [I] ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ. †749

2012 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

## დაივანებს მასზე უფლის სული ეს 11,2

ამ სიტყვებით ესაია წინასწარმეტყველებს იესოზე. ჩვენც სახარების წაკითხვისას ვაცნობიერებთ, რომ მასშია ნამდვილად მამის სული, სიყვარულითა და სიბრძნით აღსავსე.

# 5 დეკემბერი

ადვ. ქ. I კვირა [I] ი

2012 ოთხშაბათი

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

## მებრალება ეს ხალხი მთ 15,32

იესო შენ აჩვენებ ღმერთის სიყვარულს ყოველ ადამიანს რომელიც ნდობით მოდის შენთან და ხარობ, როცა ადამიანები მოგყვებიან შენ, შეიცნობენ შენს ნამოქმედარს, რომელიცაა მამისაგან: შენ განაგებ და შეიბრალებ და აძლევ ყოველდღიურ პურს შენ მოწაფეებს. გმადლობ, უფალო, იესო!

6 დეკემბერი

ადვ. ქ. I კვირა [I] ი

წმ. ნიკოლოზი, ეპ. †326

2012 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

## მიენდეთ უფალს მუდამ ეს 26,4

დღეს ესაია წინასწარმეტყველი მოგვიწოდებს მივენდოთ მამას. ის ჩვენი ნამდვილი საყრდენია, ძლიერი და მუდამ ერთგული.

გმადლობ ღმერთო, ჩვენო ხსნავ და მშვიდობავ!

# 7 დეკემბერი

ადვ. ჟ. I კვირა [I] ი

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., †397 (მ)

2012 პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

## თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ მთ 9,29

გმადლობ იესო: შენ ყოველ გარემოებაში ხსნის იმედი ხარ! შენ გესმის ჩვენი დახმარების ძახილი, ისევე როგორც მოისმინე შენი ბრმების ხმა. შენ მხოლოდ იმას გვეკითხები, ნამდვილად თუ გვწამს, რომ ძალგიძს შეწევნა!

# 8 ႣႤႩႤႫႡႤႰႨ

უმანკოდ ჩასახვა
ნეტ. ქალწ. მარიამისა (დდ) [ს] თ

## 2012 ႸႠႡႠႧႨ

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1, 26-38
ქუთაისის ეკლესიის დღესასწაული

# გიხაროდეს, მიმადლებულო, შენთანაა უფალი ლკ 1,28

მარიამ, შენი სიხარულით მეხმარები მადლიერებით მივიღო სიყვარული, რასაც მამა ღმერთი სხვადასხვა სახით მთავაზობს. შენ, მიმადლებულო, ეკლესია-ში პირველი და და დედა ხარ. მასში განვიცდი შენს სიახლოვეს, შენ მიგყავარ საიდუმლოებებისაკენ და მაძლევ შენი შვილის სიტყვას, სიყვარულით ავსებ ჩემს დროს და მაძლევ ძმათა დაფასების უნარს.

# 9 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «გ» [II] ი

2012 კვირა

ბარ 5,1-9; ფს 125; ფლპ 1,4-6.8-11; ლკ 3,1-6

## ყოველი ხორციელი იხილავს ხსნას ღვთისაგან ლკ 3,6

რას ნიშნავს „ნახავს ხსნას"? უკეთესად გავიგებთ თუკი ვიტყვით: „ნახავს მხსნელს"! ღმერთის მხსნელი იესოა! ეს სახელი ნიშნავს „ღმერთი იხსნის". ყოველ ადამიანს ექნება მშვიდობა და სიხარული მაშინ, როცა შეხვდება იესოს. მოდი, უფალო იესო, მოდი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი ოჯახის წევრებისათვის, თანამშრომლებისათვის, მეგობრებისა და მტრებისათვის! მსურს რომ ყველასთვის შენ იყო ნათელი და გულის სიმშვიდე.

# 10 დეკემბერი

ადვ. ჟ. II კვირა [II] ი

## 2012 ორშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხს. (†1973წ.)

## საოცრებანი ვიხილეთ დღეს ლკ 5,26

ყველაზე დიდი სასწაული, რომელმაც ყველა გააოგნა არ იყო პარალიზებულის განკურნება, არამედ მისი ცოდვების მიტევება. განკურნება იყო მხოლოდ ადამიანის ღმერთთან შერიგების გამოვლინება. ეს ის სასწაულია, რომლის მოწმე მეც ვარ, მეტიც საკუთარ თავზე მაქვს ის გამოცდილი. რამდენჯერ მოგიტევებია ჩემთვის, იესო!

# 11 დეკემბერი

ადვ. ქ. II კვირა [II] ი

წმ. დამას I, პაპი † 384

2012 სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ18,12-14

## ძლიერად აიმაღლე ხმა ეს 40,9

წინასწარმეტყველმა ხმამაღლა უნდა ილაპარაკოს იმისათვის, რომ აუწყოს ღმრთის კეთილი ზრახვანი. ღმერთს სურს და უნდა თავისი ერის ხსნა, სურს მისი ნუგეშისცემა მკაცრი სასჯელის შემდეგ. ახლა კი, მონანიების შემდეგ, კვლავ უნდა ითანამშრომლოს ღმერთთან, რათა ყველა ადამიანს განუცხადოს ღმერთის სიყვარული.

# 12 დეკემბერი

ადვ. ჟ. II კვირა [II] ი

წმ. იოანა ფრ. დე შანტალი, მონ. †1641

(29.XI) წმ.აბიბოს ნეკრესელი, ეპ.,წამ. (VIს.)

2012 ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ11,28-30

## უფლის მოიმედენი ძალას განიახლებენ ეს 40,31

ჩაიდე გულში ეს სიტყვები. რატომ სწუხხარ, ღელავ, რატომ ხარ იმედგაცრუებული და იტანჯები? დაივიწყე შენი ღმერთი? დაგავიწყდა, რომ ღმერთი შენი მამაა? შენ დაშორდი მას, მის დახმარებაზე უარი თქვი? გგონია მისი მკლავებიდან გადმოვარდნა შეძელი? კვლავ მიენდე მას... და ისევ ამოისუნთქებ.

# 13 დეკემბერი

ადვ. ქ. II კვირა [II] წ

წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., †404 (მ); (30.XI) წმ. ვახტანგ გორგ.; წმ. პეტრე კათ.; წმ. სამოელ კათ.

2012 ხუთშაბათი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

## ნუ გეშინია, მე შეგეწევი ეს 41,13

გმადლობ, ღმერთო ჩემო, შენი გამამხნევებელი სიტყვე-ბისათვის. შენ ყოველთვის ჩვენთან და ჩვენთვის ხარ, განსაკუთრებით მაშინ როცა სევდიანი და გულგატეხილი ვარ. შენ, ყოველივეს შემოქმედი ღმერთი, ხარ ჩემთან, რიღასი უნდა მეშინოდეს?

# 14 დეკემბერი

ადვ. ქ. II კვირა [II] თ

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., †1591, (მ)

# 2012 ხუთშაბათი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

## ვის ვამსგავსო ეს მოდგმა? მთ 11,16

იესო ჩივის. ის იმყოფება ისეთ ხალხში, რომლებიც მას არ ენდობიან, მიუხედავად იმისა, რომ თვით იოანე ნათლისმცემელმა დაამოწმა მასზე. ვისაც თავმდაბლობა აკლია, იგი ღმერთის დახმარებაზე კი იტყვის უარს: ამიტომ ვერ სცნობენ მას, ვინც ღმერთმა მოავლინა მათ დასახსნელად.

# 15 დეკემბერი

ადვ. ჟ. III კვირა [III] ი

(2.XII) წმ. ისე წილკნელი

2012 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

## ელია ნამდვილად მოვა და ყოველივეს აღადგენს მთ17,11

ელია წინასწარმეტყველი სპეტაკი რწმენისა და ამ რწმენის თვით სიცოცხლის ფასად აღიარების სიმამაცის წინასწარმეტყველია. მან აღადგინა რწმენა ისრაელის ერში, მაშინ როცა მეფემ დაუშვა კერპთაყვანისმცემლობა. დღესაც გვრძნობთ ელიას საჭიროებას, გვჭირდება მისი რწმენისა და სიმამაცის ძალა. შენც მიიღე მისი სული შენს ცხოვრებაში!

# 16 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «გ» [III] ი

**2012 კვირა**

სოფ 3,14-18; ეს 12,2-6; ფლპ 4,4-7; ლკ 3,10-18

## მოძღვარო, რა ვქნათ? ლკ 3,12

ამ კითხვას უსვამენ იოანე ნათლისმცემელს. და იგი ლა-ღად პასუხობს ყველაფერზე. მესიის მისაღებად საჭიროა გულის გათავისუფლება თავკერძობისა და სხვების გა-მოყენებისაკენ მიდრეკილებისგან. ვიყოთ თავმდაბალნი და სულგრძელნი, ყურადღებანნი ტანჯულთა მიმართ, მორჩილნი ხელისუფლებისადმი. თუკი არ გვექნება და-საცავი ინტერესები, შევძლებთ გავყვეთ იესოს.

# 17 დეკემბერი

შობის ნოვენის დასაწყისი [ს] ი

## 2012 ოთხშაბათი

იონ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

## იუდას არ წაერთმევა კვერთხი დაბ 49,10

იუდა ის შვილია, რომელიც იაკობმა აკურთხა დახსნის დანაპირების აღსასრულებლად. მისი შთამომავალი იმეფებს მუდამ. სწორედ იესო არის იუდას მოდგმიდან, და მას აქვს მოვალეობა ღმერთისგან, შეკრიბოს ერთად ყველა მორწმუნე. მის სამეფოს ეკუთვნის ყველა ის ვისაც სურს ხსნა და მშვიდობა ყველასათვის.

# 18 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2012 სამშაბათი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

## ნუ გაშინებს მარიამის, შენი ცოლის მიღება მთ 18,20

წმიდა იოსები ღებულობს ამ სიტყვას ღვთის ანგელოზისაგან, და იგი ირწმუნებს და მიიღებს თავის სახლში ორსულ ქალწულს. მიმაჩნია, რომ მშვენიერია დღეს ვიფიქრო, რომ ეს სიტყვები ჩემთვის ითქვა: მეც მივიღებ მარიამს ჩემს სახლში, და ის იქნება ჩემთვის დედა და და, ვეყვარები ყველაზე მეტად და დამეხმარება მივიღო და შევიყვარო მისი ძე იესო.

# 19 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2012 ოთხშაბათი

რჯლ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

## შესმენილია შენი ლოცვა ლკ 1,13

როდისაა ხოლმე ლოცვა შესმენილი? მატა ელ მესკინი, რამოდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ეგვიპტელი აბატი ამბობდა, რომ ლოცვა ჭეშმარიტია მაშინ, როცა ის შეისმინება, ხოლო შესმენილია მაშინ, როცა ლოცვის შემდეგ ვართ უფრო სულგრძელნი, მხიარულნი, მომთმენნი, მშვიდობის მატარებელნი, ერთგულნი, მშვიდნი და ყურადღებიანნი. თუკი ჩვენში მოვიდა სულიწმიდის ნაყოფი, ნიშნავს, რომ შესმენილნი ვყოფილვართ.

# 20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2012 ხუთშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ1,26-38

## გიხაროდეს, მიმადლებულო ლკ 1,28

ვინ გვეხმარება ყველაზე მეტად იესოს შობისათვის მომზადებას, რა თქმა უნდა დედა მისი, მარიამი. დღეს მოვისმინოთ ანგელოზის სიტყვები. მარიამის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან ღმერთი იყენებს მარიამს იმისათვის, რათა სამყაროს უდიდესი მადლი მისცეს. ჩვენც გვიხარია, როცა ღმერთი ჩვენი მეშვეობით სხვებისთვის კარგს აკეთებს.

# 21 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

მოხს.: წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ. †1597

## 2012 პარასკევი

ქებ. 2,8-14; (ან: სოფ 3,14-18) ფს 32; ლკ 1,39-45

## კურთხეული ხარ დედათა შორის ლკ 1,42

ელიზაბეტი ორმაგ სიხარულს ამჟღავნებს მარიამის შეხვედრისას და მისი მეშვეობით ღებულობს სახლში ღვთის ძეს. ჩვენც, მარიმ, გეუბნებით: კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა და კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. შენთან ერთად ვხარობთ და შენ გვასწავლი გვიყვარდეს შენი შვილი, რომელსაც მუცლით ატარებ!

# 22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2012 შაბათი

1მეფ 1,24-28; საგ.:1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

## უფალს აღვუთქვი იგი 1მეფ 1,28

ანა სამუელის დედა მოხარულია რომ უძღვნის შვილს, რომელიც სასწაულით ეყოლა. დედასთვის ძალიან დიდი პატივია ნახოს თავის შვილი როგორ ემსახურება ღმერთს, ცხოვრობს მისთვის არის მისი სიყვარულის ნიშანი სხვებისათვის!

# 23 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «გ» [IV] ი

# 2012 კვირა

მიქ. 5,2-5 (ებრ. 1-4); ფს 79; ებრ. 10,5-10; ლკ 1,39-48

## ადიდებს სული ჩემი უფალსა ლკ 1,46

**ვუახლოვდებით დიდდღესასწაულს: მოვემზადოთ მისთვის არა სმზადისისა და საყიდლების ფაცი-ფუცით, არამედ ამ ლოცვით იესოს დედა რომ გვთავაზობს. მივცეთ ჩვენი სიხარული მას ვინც მოდის ჩვენს დასახსნელად!**

# 24 დეკემბერი

შობის ვიგილია [ს] ი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

2012 ორშაბათი

2მეფ 7,1-5.8-12.16; ფს 88; ლკ 1,67-79

## **აღგვიდგინა მძლე მაცხოვარი** ლკ 1,69

ეს ზაქარიას ლოცვაა, რომელიც მოხარულია თავისი შვილის დაბადების გამო. ხვალ კი დაიბადება ადამიანის მხსნელი, რომელიც არის ყოვლისმპყრობელი, და შეუძლია დაამრცხოს მისი მტერი, ძალა გამჟღავნდება სიყვარულში!

# 25 დეკემბერი

ქრისტეშობა (დდ) [ს] თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი

# 2012 სამშაბათი

ღამე: ეს 9,1-3.5-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღე: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ. 1,1-6; იო 1,1-18

## სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის იო 1,14

ყრმა იესო, აი შენ ჩვენს შორის ხარ! შენ ნამდვილად ჩვენთან ხარ, საბრალო ცოდვილებთან! ჩვენ არ ძალგვიძს შენი ღირსეული დახვედრა! რა თქმა უნდა ჩვენთან შენ დაბნეულად გრძნობ თავს... მალევე განიცდი ჩვენს თავკერძობას; ჩვენ კი გავიხარებთ შენი სიყვარულით, რომელსაც შთაღვრი ჩვენს გულებში, რათა შეცვალო ჩვენი ურთიერთობანი და ღიმილი გაბრწყინდეს ჩვენს სახეებზე.

26 დეკემბერი

შობის რვადღეული

წმ. სტეფანე პირველწამებული [ს] წ

2012 ოთხშაბათი

საქ 6,8-10; 7,54-59; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის წმ. სტეფანეს საკრებულოს დღესასწაული

# ყველასგან მოძულებულნი იქნებით ჩემი სახელის გამო მთ 10,22

იესოს მოსვლა არ არის რომელიმე ზღვაპარის პერსონაჟის მოსვლა. ვინც მას ღებულობს ცვლის ცხოვრებას, ხოლო შეცვლილი ცხოვრება აღიქმება განკიცხვად იმათგან, ვისაც სურს საკუთარ თავკერძობაში განაგრძოს. ამიტომაც, ვინც მიიღებს იესოს შეხვდება დევნას: ნუ გაგიკვირდება! სტეფანე მოკლეს კიდეც, როგორც მრავალ ქრისტიანს კლავენ დღეს. მზად ხარ დაამოწმო შენი უფალი?

# 27 დეკემბერი

შობის რვადღეული

წმ. იოანე, მოც. და მახარ. (დ) [ს] თ

2012 ხუთშაბათი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

## იხილა და იწამა იო 20,8

ჩანს, რომ მოციქული იოანე პირველი იყო, რომელმაც იწამა იესოს სიკვდილი და აღდგომა და მიუძღვნა მას ცხოვრება. შეიყვარა იგი და გაიგო, რომ იგია ღმერთი – სიყვარულის განსახიერება. მისი სახელი ნიშნავს: „ღმერთი ლმობიერია, ღმერთი სიყვარულია!“

28 დეკემბერი

შობის რვადღეული [ს] წ

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი

2012 პარასკევი

Iიო I, 5-2, 2; ფს I23; მთ 2, I3-I8

# ღმერთი არის ნათელი და არავითარი სიბნელე არ არის მასში Iიო I,5

ჰეროდეს მიერ მოკლული ბავშვები იესოს მოწმენნი არიან. ამიტომ ჩვენ პატივს მივაგებთ მათ, რადგან ის ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ და თითო-ნაც არ იცოდნენ, რომ ამოწმებდნენ მეფეს, რომელსაც მთელი სამყარო ელოდა.

# 29 დეკემბერი

შობის რვადღეული [ს] თ

მოხს.: წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ. †1170

2012 შაბათი

I იო 2, 3-11; ფს 95; ლკ 2, 22-35

## განწესებულია ეს მრავალთა დამხობად და აღდგენად ლკ 2,34

სიმეონმა წერილებიდან კარგად გაიგო ღმერთის მის მოსვლა. სწორედ წინასწარმეტყველები ამბობდნენ, ის რომელიც მოვა დაიხსნის მათ ვინც სიყვარულით ელის და დასჯის მათ ვინც ცხოვრობს კაპრიზებით, ანუ საკუთარი კერპებითო.

# 30 დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «გ»

2012 კვირა

1მეფ1,20-22.24-28; ფს83; 1იო3,1-2.21-24; ლკ2,41-52
გორის წმ. ოჯახის საკრებულოს დღესასწაული

## ნუთუ არ იცით, რომ მამა ჩემის საქმეებში მმართებს ყოფნა? ლკ 2,49

ყმაწვილი იესო თითქოს საყვედურობს თავის მშობლებს, იმის გამო, რომ შეწუხდნენ. აჩვენებს მათ, რაც უკვე იციან: მაგრამ მათ ჯერ არ იციან რას ნიშნავს პატივი სცე შვილის თავისუფლებას. გრძნობენ პასუხისმგებლობას, დაიცვან იგი წუთისოფლის საფრთხეთაგან.

მარიამ და იოსები მიმადლეთ თქვენი სიბრძნე და პასუხისმგებლობა დღევანდელ მშობლებს.

# 31 დეკემბერი

შობის რვადღეული [ს] თ

მოხს.: წმ. სილიბისტრო I, პაპი †335

2012 ორშაბათი

Iიო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

## თავისიანებთან მოვიდა იო 1,11

დავასრულოთ წელიწადი ამ სიტყვით, რომელიც გვარწმუნებს რომ არ ვართ მარტონი, მიტოვებულნი ჩვენს სიღატაკეში და უუნარობებში. ჩვენთან არს მე ღვთისა და მასში ჩვენთან არს ღმერთი. ვიცხოვროთ მასში, და მივენდოთ მას. ვუთხრათ მადლობა. მადლობის თქმა გვეხმარება არ დავრჩეთ ჩვენს თავში ჩაკეტილნი და დავინახოთ მისი მზერა, რომელიც გაგვყვება მთელი დროის მანძილზე.